

პროექტების მართვის შესაძლებლობების ფართო არეალი ბიზნესში და ბარიერის გადალახვის გზები ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით

მარინა ქურდაძე

სტუ-ს პროფესორი

იზოლდა ყურაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ანა ჯიქია

სტუ-ს ასისტენტ პროფესორი

რეზიუმე

ბიზნეს გარემოში პროცესების უკეთ მართვისა და სასურველ შედეგებზე გასვლის თვალსაზრისით, უფრო და უფრო აქტუალური ხდება ინფორმაციული სისტემების სხვადასხვა პროგრამული პაკეტების ეფექტური გამოყენება, რომელიც დახმარებას გაუწევს საქმიანობის ერთიანი ფუნქციონალური გარემოს შექმნას. ამავდროულად მმართველობით ჯგუფს მისცემს იმის საშუალებას, რომ მოიზიდოს და გაითვალისწინოს პარტნიორთა ინტერესები მართვის სასარგებლო კუთხით, ასევე- ისე მართოს გარემო, რომ დაეყრდნოს საუკეთესო ბიზნეს პრაქტიკას და საერთაშორისო სტანდარტებს.

სისტემის დახმარებით კომპანიას აქვს შესაძლებლობა მართოს მიწოდების ჯაჭვი და აკონტროლოს მოთხოვნები, ეფექტურად გამოიყენოს შრომითი რესურსები, ოპერატიულად მართოს საჭირო ინფორმაცია, გაანალიზოს შემოსავლები და ხარჯები საშუალებას იძლევა ეფექტურად მართონ მომხმარებლებთან დაკავშირებული პროცესები, გაანალიზონ გაყიდვების მაჩვენებლები და გააკეთონ შესაბამისი დაშვებები. გამომდინარე სხვადასხვა პლატფორმების ფუნქციებიდან, მათი კოლაბორაცია ნებისმიერი პროექტისთვის შესაძლოა ეფექტური იყოს. თუმცა, ციფრული მიღწევებისა და ტრანსფორმაციების გათვალისწინებით, რამდენად ეფექტური და შესაფერისი ინსტრუმენტია მსგავსი ინფორმაციული სისტემების კომბინაცია საშუალო და მცირე საწარმოების წარმატებისა და ხარჯეფექტურობისთვის, შეფასების საგანს წარმოადგენს, რაც ამ ნაშრომშია განხილული.

საკვანძო სიტყვები: პროექტი, საკომუნიკაციო, ინსტრუმენტი, ეფექტურობა, მენეჯმენტი, ბიზნეს გარემო.

A WIDE RANGE OF PROJECT MANAGEMENT OPPORTUNITIES IN BUSINESS AND WAYS TO OVERCOME THE BARRIER WITH THE HELP OF DIGITAL TECHNOLOGIES

Marina Kurdadze professor of GTU,

Isolda Kurashvili associate professor of GTU,

Ana Jikia assistant professor of GTU

RESUME


In terms of better management of processes in the business environment and reaching the desired results, the effective use of various software packages of information systems is becoming more and more relevant, which will help to create a unified functional environment of activities. At the same time, governance will enable the group to attract and leverage the interests of partners in a beneficial management manner, as well as to manage the environment in a way that is based on best business practices and international standards.

With the help of the system, the company has the opportunity to manage the supply chain and control requirements, effectively use labor resources, promptly manage the necessary information, analyze income and expenses. It allows to effectively manage customer-related processes, analyze sales figures and make appropriate assumptions. Depending on the functions of different platforms, their collaboration can be effective for any project. However, taking into account the digital advances and transformations, how effective and suitable the combination of such information systems is for the success and cost-effectiveness of medium and small enterprises is a matter of assessment, which is discussed in this paper.

Keywords: Project, communication, tool, efficiency, management, business environment.

ბიზნეს გარემოში პროცესების უკეთ მართვისა და სასურველი შედეგების მისაღებად საინტერესოა, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას საინფორმაციო სისტემები და რამდენად ეფექტური იქნება შესაბამისი ინსტრუმენტი თუ შესაძლებლობათა კომბინაცია,

ნაშრომში გამოვიყენებთ პროექტის მენეჯმენტის ტერმინების ისეთ ინტერპრეტაციებს, რომელიც ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას წარმოადგენს და ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებას. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი «პროექტის მართვის სისტემა ორგანიზაციაში» , „ავტომატური ან საინფორმაციო პროექტების მართვის სისტემა“ (PMIS), „კორპორატიული პროექტების მართვის სისტემა“. ამ ყველაფერს ვაერთიანებთ და ვაყალიბებთ ერთ მაშტაბურ მიდგომას, რომელსაც პროექტის მართვის სისტემის მიზნებიდან გამომდინარე ვაყალიბებთ: იხ. სქემა




ზემოთ თქმულიდან, ეს ყველაფერი რომ შესრულდეს ამისათვის საჭიროა შესაბამისი ინსტრუმენტები. ზოგადად პროექტის მართვის სისტემები შექმნილია ქვემოთ მოყვანილი (სქემის სახით) ამოცანების გადასაჭრელად, ყველა ფუნქციის დეტალურად აღწერის გარეშე და გამოსადეგია ყველანაირი კვლევისათვის იხ. სქემა.



ამ და სხვა ამოცანების გადასაჭრელად ყველაზე მორგებული მექანიზმია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რომელიც წარმოიქმნება პროექტის მართვის პროცესების მახასიათებლებიდან თითოეულ კონკრეტულ ორგანიზაციაში.

პროექტის მართვის სისტემების გამოყენების სფერო, ინდუსტრიიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგნაირად დავალოთ ის. სქემა.



ამ სქემის მიხედვით დეტალები შეიძლება ჩაიშალოს კონკრეტული მიზნობრიობიდან გამომდინარე და მოერგოს სპეციალიზებული სისტემები მათ ინდუსტრიებს.

პროექტის მართვის სხვადასხვა საინფორმაციო სისტემას შეუძლია საპროექტო აქტივობების ეფექტურობის გაზრდა - აქტივობები, რომლებიც ეხება ფინანსებს, რესურსებს და ვადებს (რომლებიც, თავის მხრივ, კარგად გარდაიქმნება ფინანსებად). მთელი ეს შესაძლებლობა იმაში მდგომარეობს, რომ პროექტების ფინანსური და დროითი მახასიათებლების გარდა სხვა მუდმივი თუ დროებითი პარამეტრები, შეიძლება აღებული იქნას როგორც მაკორექტებელი და მათზე სისტემის ჩართულობით მოსალოდნელი გახდეს ბიზნეს სარგებლის გზების გამოჩენა, ეს მიდგომა მთლიანად ცვლის ფორესტერის მიხედვით კვლევას. [4]

ზემოთ თქმულიდან შეიძლება სქემა წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

ამ შემთხვევაში პროექტების მონიტორინგი ტარდება საინფორმაციო სისტემის მეთოდოლოგიის დანე-




რგვით და ძალზედ ეფექტური საშუალებაა რადგან საპროექტო ოფისს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს პროექტების პროცენტი, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი მიზნების მიღწევას, რომლისთვისაც საჭიროა დაიცვან ვადები და ბიუჯეტი.

პროექტის მართვის დანეებისთანავე უნდა დაისვას კითხვები -საჭიროა თუ არა სისტემის შექმნა პროექტის მენეჯმენტისთვის? როგორ გავამართლოთ მენეჯმენტისთვის პროექტის მართვის საინფორმაციო სისტემის საჭიროება? სავარაუდოდ ეს კითხვები უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური, რადგან ეს დამოკიდებულია ხელმძღვანელზე, არის თუ არა დაინტერესებული პროექტის მართვის სისტემის დანერგვით.

დღეისდღეობით ბაზარზე უამრავი თანამედროვე პროექტების მართვის სისტემაა, მაგრამ პროგრამირების გარეშე ყველა არ შეიძლება მორგებული იყოს კომპანიის საჭიროებებზე. ზოგჯერ საჭირო ხდება საკუთარი პროექტის მართვის სისტემის შემუშავება სპეციფიკიდან და ორგანიზაციის მართვის ამოცანების უნიკალურობიდან გამომდინარე. პროექტის მენეჯმენტის პრობლემების გადასაჭრელად შესაძლებლობა იქმნება მზა ინსტრუმენტების ადაპტირებისა.[2]


პროექტის მენეჯმენტის ინსტრუმენტების ბაზარზე ზოგადად არის უამრავი უფასო ან საერთო მცირე ფასიანი პროგრამული უზრუნველყოფა, ზოგი პროგრამული უზრუნველყოფა განკუთვნილია მცირე გუნდებისთვის და ძირითადად აქვს ამოცანების მართვის ფუნქციონირება (დავალებების მართვის სისტემები, კლიენტების სიის შენახვა და ა.შ) რომლებიც ყველაზე ხშირად მიმართულია მცირე ბიზნესისთვის.

არის ქვეყნები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ პროექტის ძირითადი მონაცემების დამუშავებისთვის ავტოსორსინგული ჯგუფის პროგრამულ მომსახურებას და უზრუნველყოფენ სერვისს პროვაიდერებისთვის, რომელთა ფუნქციონირების სქემაც შემუშავდა . იხ. სქემა



სქემიდან ჩანს, რომ თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ასარჩევი საინფორმაციო სისტემისათვის, შეირჩეს ტექნიკური მახასიათებლები, გამოიკვეთოს მოკლევადიანი მიზნები, ბიზნეს მოთხოვნები, შეაჯამდეს ეს ყველაფერი და დაიწყოს IT გადაწყვეტის ფრთხილად შერჩევა. თავდაპირველად სასურველია ისეთი მიდგომა, რომ შემუშავდეს სატესტო ქეისი. მაგალითად: არსებული პროექტის მართვის პროცესის საფუძველზე (არის პროექტები, არის პროცესი) ჩაწერება დანომრილი სიით მარტივი ტექსტი, მიეთითება ცალკე ზოგადი მოთხოვნების ჩამონათვალი და ანგარიშების სიის დანართი, რომელთა მიღებაც არის სასურველი. [5] ეს სატესტო შემთხვევა შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ სისტემების გადასახედად და შესამოწმებლად, რომელს არჩევაც იქნება სასურველი. ეს დატესტილი მაგალითი უნდა გაეგზავნოს სისტემის დეველოპერს/მომწოდებელს თხოვნით, შექმნან სასურველი დემო/პროტოტიპი ამ კინკრეტული პროექტისთვის. შედეგად მივიღებთ იმას, რომ: პროტოტიპის დაყენების სიჩქარე, სიმარტივე და მომსახურის სურვილი, ეს ყველაფერი გაკეთდეს კომპანიისთვის, შესანიშნავი ლაკმუსია, რომელიც აჩვენებს სისტემის შემდგომი დანერგვის სიმარტივე/სირთულეს, მიმწოდებლის სპეციალისტების კომპეტენციას და მომავალი პარტნიორის მზადყოფნას ითანამშრომლოს სასურველი შედეგებისთვის.[1]

ზოგადად პროექტის ამოცანების განხილვის, პროტოტიპის მომზადების, პროგრამული უზრუნველყოფისა და სერვისის პროვაიდერის წარმომადგენლების მიერ ურთიერთობის ხარისხი ტესტირების ეტაპზე გადამწყვეტია, რადგან ვერც დამატებითი ფუნქციონალობა, ვერც დაბალი ფასი და ვერც სხვა სისტემებისა და მომწოდებლების ცნობილი ბრენდი, ვერ აანაზღაურებს წარუმატებელი განხორციელების შედეგად, პროექტის შესაძლო ეკონომიკურ და რეპუტაციულ ზიანს. სისტემის შერჩევისა და დანერგვის ინიციატორის პროაქტიული პოზიცია, შედეგებისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება პროექტს ხდის წარმატებულს, ყოველივე ამის შემდეგ კეთდება ინფორმირებული არჩევანი სასურველი პარტნიორის შესარჩევად და რომელიც ხდება საიმედო პარტნიორი. შემდეგი გზამკვლევი იქნება მოცემული სქემის მიხედვით, თუ რა უნდა იყოს შეტანილი საპილოტე პროექტში შერჩეულ პარტნიორთან . იხ სქემა.



ამ სტეპით წარმართული სამუშაოების მიხედვით, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს პროექტის ორგანიზაციული (რომელ განყოფილებებში) და ფუნქციონალური (რა ფუნქციონალური) ჩარჩოები და დაიყოს მთელი პროექტი გასაგებ და თვითკმარ ეტაპებად.

ყურადღება უნდა მიექცეს სისტემის განხორციელების გეგმას, რადგან ის უნდა იყოს შეთანხმებული განსახორციელებელი პროექტის პარტნიორთან, რომელიც თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე წარმოადგენს წინადადებას, თუ როგორ უნდა შეიქმნას, როგორც ინსტრუმენტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთიანი სასტემა, რათა შედეგი იყოს სწრაფად მისაღები და თავიდან აცილებულ იყოს გაუთვალისწინებელი გადაცდომები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემებიდან გამომდინარე უპირატესობა აქვს პროექტების მართვაში ერთ კომპლექსურ მიდგომას საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით, რომელიც სტეპის სახით არის მოცემული. იხ. სტემა



ამ სტემაში თითოეული გარდამავალი რგოლი დაკავშირებულია სტრუქტურულად მათზე მორგებულ საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობებთან. ეს გზამკვლევი სტრუქტურული კვლევა, თუ როგორ არის ბიზნესში მომგებიანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, არის იმის წინა პირობა, რომ მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებაც ადვილი გახდება, თუ გამარტივებული პარამეტრებით ჩაშლილ ქვესტრუქტურულ მიდგომებს გამოიყენებენ შესაბამისი ორგანიზაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარინა ქურდაძე, იზოლდა ყურაშვილი, ანა ჯიქია, „საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემების ძირითადი მახასიათებლების ანალიზური ასპექტები პროექტის მართვაში“ ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. უაკ (UDC) 338.22+62. ბ-666 ; ISSN 1512-0538. №3-4, 2023 წ. (390გვ) 250-254. გვ
2. მარინა ქურდაძე, ანა ჯიქია, იზოლდა ყურაშვილი, „პროექტის მენეჯმენტის საკომუნიკაციო პარამეტრების მხარდაჭერის კრიტერიუმები და შეფასების ახალი მიდგომები“, ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. უაკ (UDC) 338.22+62. ბ-666 ; ISSN 1512-0538. №3-4, 2023 წ. (390გვ) 243-247. გვ
3. მ.ქურდაძე, ი. ყურაშვილი „ხარჯების ოპტიმიზაციის მექანიზმი და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების ინსტრუმენტი“ ჟურნალი, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ ISSN 1512-0538; უაკ (UDC) 338.22+62 ბ-666, №3-4 გვ.141. 2022წ. თბილისი.
4. მარინა ქურდაძე, მარინა გარდაფხაძე, „ფირმის მომარაგებისა და მარაგების საბაზრო გარემოს მექანიზმები და მახასიათებლები“ მეშვიდე საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენცია - IEC 2019 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“ 11-12 ოქტომბერი, 2019წ. ქუთაისი, საქართველო.
5. რომან სამხარაძე, ლია გაჩეჩილაძე, მირიან ყალაბეგიშვილი, მარინა ქურდაძე. ენერგეტიკის სფეროში ექსპერტული სისტემების გამოყენების ანალიზი და მიმართულებები. ჟურნალი, 1(33), ISSN 1512-3979 (print). EISSN 1512-2174 (online). DOI. org/10.36073/1512-3979. 2022. წ. თბილისი